



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს  
2020 წლის 30 დეკემბრის  
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 19:00

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი, ციცინო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ხატია გოგოლაძის, ილია პატარაიას და დავით მეტრეველის განცხადებებს გაწევრიანების შეახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხატია გოგოლაძის, ილია პატარაიას და დავით მეტრეველის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

(ბ) დავით ჭანტურიას, თამთა მაჭარაშვილის, გიორგი ბარჯაძის, თიკა ჯალიაშვილის, ირაკლი ლაგვილაგას, სალომე ბექაურის, მათა მჭედლურის, მუხრან ფუტყარაძის, გოჩა ხაჩიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით ჭანტურიას, თამთა მაჭარაშვილის, გიორგი ბარჯაძის, თიკა ჯალიაშვილის, ირაკლი ლაგვილაგას, სალომე ბექაურის, მათა მჭედლურის, მუხრან ფუტყარაძის, გოჩა ხაჩიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(გ) მარინა ხოლოაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების მოსამართლის ან/და პროკურორად მუშაობის 3 წლიანი სტაჟის მქონე პირები გადიან ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ თეორიულ კურსს. განმცხადებელმა მარინა ხოლოაშვილმა წარმოადგინა მოსამართლედ მუშაობის შესაბამისი სტაჟისა და 2020 წლის საშემოდგომო ნაკადის ფარგლებში, ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლის დამადასტურებელი ცნობები.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე 7: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი, ციცილო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე; თავი შეიკავა მამუკა ნოზაძემ), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარინა ხოლოაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(დ) ზაზა თავაძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების მოსამართლის ან/და პროკურორად მუშაობის 3 წლიანი სტაჟის მქონე პირები გადიან ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ თეორიულ კურსს. განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობა, რომლის თანახმად 2010-2016 წლებში მას ეკავა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ხოლო 2016-2020 წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობები. ასევე, მას წარმოდგენილი ჰქონდა 2020 წლის საშემოდგომო ნაკადის ფარგლებში, ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლის დამადასტურებელი ცნობა და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის 2004 წლის 07 მარტს ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი. განმცხადებელი ითხოვდა გაწევრიანებას, კანონით დადგენილი წესით.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-11 მუხლის, მე-8 პუნქტის თანახმად, ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეობის, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს. შესაბამისად, ზაზა თავაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებით შესაძლებლობას იძლევა, რომ იგი გაწევრიანდეს სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზაზა თავაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე შესაბამისი სპეციალიზაციით.**

**საკითხი 2.** ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ ირაკლი ზარქუას და ტარიელ ტყემალაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი ზარქუას და ტარიელ ტყემალაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.**

### საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად თამარ მაჭარაშვილის, ბექა დვალის, თამარ ქიტოშვილის, ლევან არძენაძეს, რამაზ ცინცაძეს, მათა ქვრივიშვილის, მედეა სვანიშვილის, მირზა წიკლაურის, ნინო გაფრინდაშვილის, ნინო გაფრინდაშვილის, ნინო გიგინეიშვილის, ნინო სვანიძეს, პაატა კუბლაშვილის, ცირა გოგიჩაიშვილის, ხათუნა როსტიაშვილის, გიორგი ხაჩიძეს და საწევრო დავალიანების მქონე - ნათია გიუნაშვილის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21<sup>3</sup> მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს შემდეგ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ: თამარ მაჭარაშვილი, ბექა დვალი, თამარ ქიტოშვილი, ლევან არძენაძე, რამაზ ცინცაძე, მაია ქვრივიშვილი, მედეა სვანიშვილი, მირზა წიკლაური, ნინო გაფრინდაშვილი, ნინო გაფრინდაშვილი, ნინო გიგინეიშვილი, ნინო სვანიძე, პაატა კუბლაშვილი, ცირა გოგიჩაიშვილი, ხათუნა როსტიაშვილი, გიორგი ხაჩიძე. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირს - ნათია გიუნაშვილს ეცნობოს ინფორმაცია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოს იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მას შეუწყდება ასოციაციის წევრობა.

**საკითხი 4.** ინგა არახამიას განცხადების განხილვა წევრობის შეწყვეტის შესახებ.

წევრები გაეცნენ ინგა არახამიას 2020 წლის 24 დეკემბრის განცხადებას საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21<sup>3</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეწყვეტის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ პირობას იღებს ცნობად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული ინგა არახამიას განცხადება წევრობის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში.

**საკითხი 5.** სპარტაკ კაპანაძის განცხადების განხილვა სიით ნომერში „დროზ ერთის“ გაუქმების შესახებ.

წევრები გაეცნენ სპარტაკ კაპანაძის 2020 წლის 18 დეკემბრის განცხადებას სიით ნომერში (3909/1) „დროზ ერთის“ მოხსნის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სპარტაკ კაპანაძის განცხადება და მისი სიითი ნომერი განისაზღვროს შემდეგნაირად - 3909.

**საკითხი 6.** 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით 2020 წლის 1-ლი დეკემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 30 დეკემბერი.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემდეგ, კოლეგების მხრიდან საწევროების გადახდის პროცესი ინტენსიური გახდა, თუმცა დღეის მდგომარეობით, საწევრო დავალიანების მქონე 700-ზე მეტი ადვოკატი. ამასთან, რამდენიმე ადვოკატმა მომართა ასოციაციას საწევროს გადახდის გარკვეული ვადით გადავადების თაობაზე. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადებების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება.

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, შესაძლებელია ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გაგრძელება. ამიტომ, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა 2020 წლის 19 ნოემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2020 წლის 1-ელ დეკემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 20 კალენდარული დღით - 2021 წლის 20 იანვრამდე.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2020 წლის 19 ნოემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2020 წლის 1-ელ დეკემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის

გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 20 კალენდარული დღით, ანუ 2021 წლის 20 იანვრამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2020 წლის 1-ელ დეკემბერს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 20 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 20 იანვარი.

საკითხი 7. 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის გადავადების და გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა.

#### წევრები გაეცნენ:

(ა) 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსულ 2020 წლის საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებებს (ალექსანდრე ხელაშვილი, დავით ბარბაქაძე, მანანა ჩაჩანიძე, დავით ვეშაგური, ზურაბ იმერლიშვილი, ლევან ხელაია, ლელა წიკლაური, მამუკა ტივიშვილი, ნინო დეკანოიძე, სალომე კალაიჯიშვილი, მათა სირაძე, ინგა ბოლოთაური, სოფიო გოგლიჩიძე, თამილა ქუთათელაძე, ერეკლე გაბუნია, შორენა ცქიფურიშვილი, გიორგი იასაშვილი, ცირა ჯავახიშვილი).

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: განმცხადებელთა მოთხოვნა საწევრო გადასახდის გადახდის გადავადების თაობაზე განხილულ იქნას აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომაზე.

(ბ) ალექსანდრე მეკვიძის 2020 წლის 30 ნოემბრის განცხადებას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ. განცხადებაში მითითებული იყო, რომ ქვეყანაში შექმნილმა პანდემიურმა ვითარებამ შეაფერხა საადვოკატო საქმიანობა, რამაც გამოიწვია ფინანსური პრობლემები და აქედან გამომდინარე, იგი ითხოვდა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი, როგორც რეგიონში საგადასახადო სამსახურში გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად რეგისტრირებული მოქმედი ადვოკატი, სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად, მის მიერ გადასახდელი 2020 წლის საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ალექსანდრე მეკვიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

1. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს ალექსანდრე მეკვიძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(გ) სოფიო ასიტაშვილის 2020 წლის 24 ნოემბრის განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა საწევრო დავალიანების საპატიოდ ჩათვლას და ხელახლა გაწევრიანებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს 2016 წელს შეუწყდა ასოციაციის წევრობა საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო. როგორც განმცხადებელი აღნიშნავდა, მას მითითებულ პერიოდში არ განუხორციელებია საადვოკატო საქმიანობა და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა საწევრო დავალიანების საპატიოდ ჩათვლას და ხელახლა გაწევრიანებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს სოფიო ასიტაშვილის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევრო დავალიანების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე, თუმცა, განმცხადებელს შეუძლია მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების ნაწილობრივი გადახდის საფუძველზე, განმეორებით მომართოს საბჭოს, რომელიც განიხილავს წარმოდგენილ განცხადებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:



1. არ დაკმაყოფილდეს სოფიო ასიტაშვილის განცხადება საწევრო დავალიანების საპატიოდ ჩათვლის და ხელახლა გაწევრიანების თაობაზე;
2. განმცხადებელს მიეწოდოს ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოსთვის ხელახლა მომართვის თაობაზე.

**საკითხი 8.** ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - გურამი იმნაძის, კობა ზამალუას, შოთა მეტრეველის, ტანია რაზმაძის განცხადებებს თანდართული ბიოგრაფიით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად გურამი იმნაძის, კობა ზამალუას, შოთა მეტრეველის და ტანია რაზმაძის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 9.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატის სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმის დებულების განხილვა და დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის აპარატის სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმის დებულების პროექტს.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აპარატის სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეგულირების მექანიზმის დებულების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

**საკითხი 10.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულებაში შესატანი ცვლილების განხილვა;

წევრები გაეცნენ ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 9.9 პუნქტში შესატანი ცვლილების პროექტს, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: „ასოციაციას, სტაჟიორსა და სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატს შორის სამმხრივი შეთანხმება შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონული ფორმითაც, რომელსაც ექნება მემორანდუმთან გათანაბრებული ძალა“.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).**

**საკითხი 11.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილების განხილვა.

წევრები გაეცნენ ასოციაციის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტს, რომელიც ეხებოდა დებულების 8.1 პუნქტს და წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: „ტესტირების შედეგების გასაჩივრება კურსის მონაწილეს შეუძლია ერთჯერადად, 6.6. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მისთვის ნაშრომის ოფიციალურად გაცნობიდან 30 დღის ვადაში“.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3).**

**საკითხი 12.** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილების განხილვა.

წევრები გაეცნენ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტს, რომელიც ეხებოდა

დებულების 7.1 პუნქტს და წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: „ტესტირების შედეგების გასაჩივრება კურსის მონაწილეს შეუძლია ერთჯერადად, მისთვის ნაშრომის ოფიციალურად გაცნობიდან 30 დღის ვადაში“.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 4).

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

**დავით ასათიანი**  
**თავმჯდომარე**